თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

იმერეთის მუნიციპალიტეტებში ხელფასების, პრემიებისა და დანამატების სახით 22 323 636 ლარი გაიცა

მე-2 გვერდზე

2017 წლის ახალგაზრდა გლობალურ ლიდერად მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა საქართველოდან ნინო ზამბახიძე შეარჩია

მე-3 გვერდზე

№2 (764) 20 მარტი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

რამდენი მილიონი და რა ქონება მიიღო ქუთაის-გაენათის ეპარქიამ ქუთაისის ბიუჯეტიდან?

ყველა კვლევის თანახმად, საქართველოში ეკლესია დღემდე ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში, თუმცა რა ხდება რეალურად ჩვენი თვალსაწიერის მიღმა და როგორ მიმდინარეობს შიდა პროცესები, ეს ყოველთვის ტაბუდადებული თემა იყო. ხშირად ამ საკითხზე დასმული კითხვები უპასუხოდ რჩება ხოლმე.

თუმცა, დედა ეკლესიაში რომ მთლად ყველაფერი რიგზე ვერაა და მინიმუმ ფინანსურ დარღვევებთან თუ სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას აქვს ადგილი, ამას ამ უკანასკნელ პერიოდში ყველაზე გახმაურებული შიდა საეკლესიო ამბებიც ცხადჰყოფენ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკლესიის დაფინანსება ახალი ამბავი არაა, თუმცა თანხების ხარჯვის მიზნობრიობა დღემდე ბუნდოვანია. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბოლო ათწლეულის მანძილზე რა თანხები თუ ქონება მიიღო ქუთაის-გაენათის ეპარქიამ და რას მოხმარდა ეს თანხები.

როგორც ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ზვიად ჯავახიამ გვაცნობა, 2007 წლიდან დღემდე ქუთაის-გაენათის ეპარქიას ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 1 014 000 ლარი. კერძოდ: 2007 წელს — 33 ათასი ლარი, 2008 წელს — 99 ათასი ლარი, 2009 წელს — 45 ათასი ლარი, 2010 წელს მ— 40 ათასი ლარი, 2011 წელს — 71 ათასი ლარი. 2012 წელს — 45 ათასი ლარი. 2013 წელს — 202 ათასი ლარი. 2014 წელს - 350 ათასი ლარი. 2015 წელს — 57 ათასი ლარი. 2016 წელს — 72 ათასი ლარი. თუმცა, სად წავიდა ეს თანხები და რაში დაიხარჯა, ამაზე პასუხს მერია ვერ გვცემს, რადგან იგი არ აწარმოებს ამ თანხების მონიტორინგს და არც ერევა ეპარქიის საქმეში. თავის მხრივ, ეპარქიაც თავს არიდებს შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

NGO-ების განცხადება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე

არასამთავრობო ორგანიზაციები: "საქართველიანი არჩევნები", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" ეხმაურებიან არჩევნებთან და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ უმრავლესობის მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს და საზოგადოებას სთავაზობენ თავიანთ მოსაზრებებს.

გვსურს გამოვეხმაუროთ არჩევნებთან და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ უმრავლესობის მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს. წარმოდგენილი ვერსიით, უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, თუმცა პროპორციულობა პარტიის მიერ მიღებულ ხმებსა და მის მიერ პარლამენტში მოპოვებულ მანდატებს შორის უზრუნველყოფილი არ იქნება; პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო ბლოკებად ვერ გაერთიანდებიან; საქართველოს ამომრჩეველი საქართველოს პრეზიდენტს პირდაპირი წესით ვერ აირჩევს.

საარჩევნო სისტემა და მანდატების გადანაწილების წესი: შემოთავაზებული ვერსიით, მაჟორიტარული სისტემა უქმდება, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია. თუმცა, მოცემული ვერსია ითვალისწინებს ასევე გაუნაწილებელი მანდატების მხოლოდ პირველ ადგილზე გასული პოლიტიკური პარტიისთვის მინიჭებას. გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა შეიძლება მთლიანი მანდატების 10%-ს ან მეტსაც შეადგენდეს. შესაბამისად, ამ მანდატების მთლიანად ერთი პარტიისთვის მიკუთვნება არსებითად გაზრდის პარტიის მიერ მიღებულ ხმებსა და მანდატებს შორის დისპროპორციას.

აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მოთხოვნა იმიტომ დადგა დღის წესრიგში, რომ ის ამომრჩეველთა ხმებსა და პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებულ მანდატებს შორის დისპროპორციას წარმოქმნის. მოტივაცია, რომ საარჩევნო სისტემამ უზრუნველყოს სტაბილურობა გასაგებია, მაგრამ მსგავსი მეთოდით აღნიშნული მიზნის მიღწევა უსამართლო და გაუმართლებელია. სისტემის შეცვლას აზრი ეკარგება, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებშიც კი, მანდატების გადანაწილების არსებითად უსამართლო და არაპროპორციულ შედეგს მივიღებთ. მიგვაჩნია, რომ, პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, გაუნაწილებელი მანდატები პარტიებს შორის უნდა გადანაწილდეს მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

პრეზიდენტის არჩევის წესი: შემოთავაზებული ვერსიით, უქმდება საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი და ის არაპირდაპირ, პარლამენტის მიერ აირჩევა. დემოკრატიის განვითარებისა და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული. პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების გაუქმება არ წარმოადგენს საპარლამენტო მოდელიდან გამომდინარე აუცილებლობას, რადგან საპარლამენტო მმართველობის მქონე ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც, მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებებისა, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა.

იმ შემთხვევაში, თუ მაინც მოხდება პირდაპირი წესით არჩევნების გაუქმება, მნიშვნელოვანია, რომ ეს არ შეეხოს მომდევნო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს და ძალაში შევიდეს 2023 წელს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილება პოლიტიკური დატვირთვისგან გათავისუფლდეს და კონკრეტულ პიროვნებების გამო მიღებულად არ იყოს აღქმული.

მისასალმებელია, რომ მსგავსი პოზიცია უმრავლესობის მხრიდანაც გამოითქვა, თუმცა კატეგორიულად მიუღებელია საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ის განცხადებები, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის არჩევის წესის სავარაუდო ცვლილების ძალაში შესვლა შესაძლოა დამოკიდებული იყოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ ამა თუ იმ პოზიციაზე. მსგავსი განცხადებები ხელს უშლის კონსტრუქციულ დისკუსიას და მხოლოდ ამყარებს ეჭვებს, რომ პრეზიდენტის არჩევის წესი ცვლილების ინიციატივა მოქმედი პრეზიდენტისადმი პირადი დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს.

ბლოკების გაუქმება: მომზადებული ცვლილებები ითვალისწინებს საარჩევნო ბლოკების გაუქმებას, რის არგუმენტადაც მოყვანილია პარტიების განვითარების და გაძლიერების აუცილებლობა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება, თუნდაც ის მომდევნო არჩევნებისთვის არ ამოქმედდეს, ზედმეტად რადიკალურ ზომას წარმოადგენს და არ არის მიზანშეწონილი. განსაკუთრებულად მიუღებელი იქნება ეს ნაბიჯი თუ შენარჩუნდება 5:-იანი ბარიერი და დამტკიცდება მანდატების განაწილების შემოთავაზებული წესი.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევებში საარჩევნო ბლოკების შექმნა მხოლოდ ფინანსური ან სხვა მატერიალური და არამატერიალური სარგებლის მიღებით არის გამოწვეული, რაც ცალსახად უარყოფითი ფაქტია. აღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად და არალეგიტიმური მანიპულაციების გამოსარიცხად, უმჯობესია, ცვლილებები განხორციელდეს შესაბამის კანონმდებლობაში. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ ერთი მხრივ პარტიები ორიენტირებული არ იქნებიან ბლოკის შექმნაზე ფინანსური სარგებლის ინტერესით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში პარტიების გაძლიერებას შეუწყობს ხელს და მეორე მხრივ, თუ პარტიები გადაწყვეტენ მაინც შექმნან ბლოკი, ეს გამოწვეული იქნება მხოლოდ პოლიტიკური და არჩევნებში გამარჯვების ინტერესით. ასეთ შემთხვევაში კი, საარჩევნო ბლოკის შექმნა გამართლებულია.

საპარლამენტო არჩევნების თარიღის განსაზღვრა: წარმოდგენილი ვერსიით შემოთავაზებულია არჩევნების ფიქსირებული თარიღი, კერძოდ, პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის პირველი კვირა დღე. აღნიშნულის მიზანი შეიძლება იყოს მომავალში იმ გაუგებრობის თავიდან აცილება, რაც გამოწვეული იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისას. თარიღის დაკონკრეტება პრობლემად არ მიგვაჩნია, თუმცა არც აუცილებლობას არ წარმოადგენს ერთ შემთხვევაში მომხდარი გაუგებრობის გამო. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის პირველ კვირაში არჩევნების დანიშვნა შესაძლებლობას არ აძლევს პოლიტიკურ პარტიებს სრულფასოვნად აწარმოონ წინასაარჩევნო კამპანია, ვინაიდან საარჩევნო კამპანიის დროის უმეტესი ნაწილი ემთხვევა ზაფხულის პერიოდს, როდესაც ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ისვენებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მსჯელობის გამართვა არჩევნების გაზაფხულზე გადატანის შესახებ.

მივმართავთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის წევრებს მხარი დაუჭირონ:

- არსებული საარჩევნო სისტემის პროპორციული მოდელით ჩანაცვლებას, მათ შორის გაუნაწილებელი მანდატების პროპორციულად გადანაწილებას, რათა თავიდან იქნას აცილებული არსებითად უსამართლო და არაპროპორციული შედეგი;
- საარჩევნო ბლოკების შენარჩუნებას;
- პრეზიდენტის არჩევის პირდაპირი წესის შენარჩუნებას, როგორც მინიმუმ მომდევნო, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

PS news.ge

ISSN 1987-7056

კახა კუკავამ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდა

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, მედიასთან და პარტიის მხარდამჭერებთან შეხვედრა გამართა, სადაც 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისა და ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე რეზონანსულ თემებზე ისაუბრა.

აღნიშნული შეხვედრაზე გაჟღერდა ინფორმაცია „თავისუფალი საქართველოსა“ და „ვეტერანთა პარტიის“ გაერთიანების შესახებ.
თავისუფალმა საქართველომ ყველა პარტიას მოუწოდა გაერთიანებისკენ, რათა მთელი ხმების კონცენტრაცია კვლავ ორი პარტიის გარშემო არ მოხდეს.
„ჩვენი პოზიციაა, თვითმმართველობის საარჩევნო კამპანია არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა ვაწარმოოთ ერთობლივად, რადგან აშკარაა, რომ ნააციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება მოქმედებენ შეთანხმებულად, ხდება ამომრჩევლის პოლარიზაცია. ყველას მოვუწოდებ, ყველა რეგიონში ერთობლივად, გაერთიანებულად, დავასახელოთ კანდიდატები, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ 2 პარტიის ხელში აღმოჩნდება მთელი ხმები.“-განაცხადა კახა კუკავამ.
კახა კუკავამ ასევე ისაუბრა ბათუმში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ამ ყველაფერს სპექტაკლი უწოდა, რადგან ასეთი ქმედებების გამო შეუძლებელია დამნაშავეების მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმით დასჯა.

ლიკა დევდარიანი

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის განცხადება

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 მაისს, 12:00 საათზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ჩატარდება „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის საჯარო განხილვა.
პროექტი ხორციელდება საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში. გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი (KFW) დახმარებას უწევს შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.
პროექტის მიზანია დააარსოს მყარი ნარჩენების მართვის ახალი სისტემა, რომელიც მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს. პროექტის ძირითადი კომპონენტი იქნება ახალი, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობა ქუთაისიდან აღმოსავლეთით, 7 კმ-ში, სოფ. ჭოგნარსა და გოდოგანს შორის. ნაგავსაყრელი ცენტრალიზებულად მოემსახურება პროექტის მთლიან არეალს. მოშორებული ადგილებიდან ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის მოეწყობა 5 გადამტვირთავი სადგური.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა და თქვენი მოსაზრებებისა და შენიშვნების გამოგზავნა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

- ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. #7
- **საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია**
  მისამართი: ქ. თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას N10.
  ტელ.: (+995 32) 2 43 88 30;

ვებგვერდი: www.waste.gov.ge

ელ. ფოსტა: info@waste.gov.ge

დაინტერესებული პირების მოსაზრებებისა და შენიშვნების მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 1 მაისი.

იმერეთის მუნიციპალიტეტებში ხელფასების, პრემიებისა და დანამატების სახით 22 323 636 ლარი გაიცა

"საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო“ მორიგი კვლევის შედეგებს აქვეყნებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებში დასაქმებულთა სახელფასო ოდენობისა და გაცემული პრემიების შესახებ.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, იმერეთის მუნიციპალიტეტებში 2016 წელს გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ 22 323 636 ლარი შეადგინა. აქედან, გამგეობებში/მერიაში სახელფასო ანაზღაურებაზე დაიხარჯა 17 217 253 ლარი, ხოლო საკრებულოებში - 5 106 383 ლარი.
მუნიციპალიტეტებში გაცემულმა პრემია/ჯილდო/დახმარება/სახელფასო დანამატთა ჯამმა წლის განმავლობაში 3 360 132 ლარი შეადგინა (გამგეობებში - 2 592 786 ლარი, საკრებულოებში - 767 346 ლარი).
გაცემული ხელფასების/ პრემია/ჯილოდო/დახმარება/სახელფასო დანამატების ოდენობით ქუთაისის მუნიციპალიტეტი ლიდერობს. ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს თანამდებობის პირები - თავმჯდომარის მოადგილეები, **ბექა ყანჩაველი** და **ნიკოლოზ ლატარია,** მთელი წლის განმავლობაში იღებდნენ დანამატს თვეში 2150 ლარის ოდენობით. ჯამში, მთელი წლის მანძილზე თითოეულის მიერ აღებულმა სახელფასო დანამატმა 25 800 ლარი შეადგინა. ცალკეულ თანამდებობის პირებზე გაცემული მაღალი პრემია/დანამატით გამოირჩეოდა ასევე სამტრედიის, ხარაგაულის, წყალტუბოს, ზესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები.
ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემდეგ პრემია ყველაზე დიდი ოდენობით გაიცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისგამგეობასა და საკრებულოში (გამგეობა - 405 245 ლარი, საკრებულო - 95 025 ლარი). აღებული პრემიის სიმცირითგამოირჩევა ბაღდათის გამგეობა (17 550 ლარი) და ხარაგაულის საკრებულო (1000 ლარი).
მუნიციპალიტეტების საკრებულოების რეგლამენტის თანახმად, დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოსწევრისთვის ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით. საინტერესოა ტყიბულისმუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოკიდებულება ამ მუხლისადმი. ისინი აღნიშნულ ნორმას საკრებულოსთანამდებობის პირებზეც ავრცელებენ და მოწოდებულ დოკუმენტაციაში გვწერენ, რომ ტყიბულისმუციპალიტეტში საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, პრემიასა დასახელფასო დანამატს არ იღებენ. შესაბამისად, ტყიბულის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე გაცემულმაპრემიამ სულ 3 600 ლარი შეადგინა.
ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს თანამდებობის პირები - თავმჯდომარის მოადგილეები, ბექა ყანჩაველი დანიკოლოზ ლატარია, მთელი წლის განმავლობაში იღებდნენ დანამატს თვეში 2150 ლარის ოდენობით. ჯამში, მთელი წლის მანძილზე თითოეულის მიერ აღებულმა სახელფასო დანამატმა 25 800 ლარი შეადგინა. ცალკეულ-თანამდებობის პირებზე გაცემული მაღალი პრემია/დანამატით გამოირჩეოდა ასევე სამტრედიის, ხარაგაულის, წყალტუბოს, ზესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები.
ქალაქ ქუთაისის მერიამ არ მოგვაწოდა პრემია/დანამატის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილი სახით. ჩვენთვისუცნობია, კონკრეტულად ვისზე გაიცა აღნიშნული პრემია/ დანამატი. მათ შორის, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიარ ჩანს ქუთაისის მერისა და სხვა თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიის ოდენობა.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა,-საგაც გაიცა საშვებულებო დახმარება 128 350 ლარის ოდენობით, მსგავსიდეფნიცა ჯერ კანონში არ არსებობს. აღნიშნული თანხის გაცემა ხდებოდა დასაქმებულისშვებულებაში გასვლის პერიოდში, თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამრიგად, დასაქმებული შვებულებაში ყოფნის პერიოდში იღებდა სარგოს ორმაგ ოდენობას. აღსანიშნავია, რომ ტერმინს "საშვებულებო დახმარება“ დამისი გაცემის მიზნობრიობას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს.
პრემიის გაცემის დღეები ყველა მუნიციპალიტეტში ერთმანეთს ემთხვევა. პრემია, როგორც წესი, გაიცემა 8 მარტის (მხოლოდ ქალ თანამშრომლებზე), სააღდგომო და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტმა ამ დღეების გარდა, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებითაც გასცაპრემია. პრემიების გაცემასთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პრემია თითქმის ყველამუნიციპალიტეტში გაიცემა უკლებლივ ყველა თანამშრომელზე და მისი გაცემის დასაბუთებულობაც არ პასუხობსკანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებს.
თუ რა დამსახურებისთვის გაიცა ქუთაისის მერიაში ამ რაოდენობის თანხა,ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა მერიის იდმინისტრაციის უფროსმა ზვიად ჯავახიამ:“ სანტერესოა,წინა ხელისუფლების მიერ ექვსჯერ მეტი პრემია-დანამატი,რომ გაიცა მაშინ რატო არ ჩაატარა ვინმემ კვლევა. სხვა ქალაქებთან შედარებით ქუთაისის მერია არის თვითმმართველი ქალაქი და შესაბამისად მეტი თანამშრომლითაა წარმოდგენილი, ამიტომ არავისთვის უნდა იყოს გასაკვირი,ის ფაქტი რომ აქ გაიცა ყველაზე მეტი პრემია-დანამატი.

კვლევის მოკლე ანალიზს აკეტებს „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო“-ს კოორდინატორი ლელა მოწონელიძე.

„ქუთაისის მერიამ ინფორმაცია მოგვაწოდა, რიცხვობრივად, შესაბამისად წარმოდგენილმა ინფორმაციამ ჩვენ არ მოგვცა საშუალება, დაგვედგინა, რომელმა თანამდებობის პირმა, რა რა რაოდენობის თანხა აიღო.
რაც შეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტს,ის ერთადერთია, რომელიც იყენებს ტერმინს საშვებულებო დახმარება. დასაქმებული პირები გადიოდნენ შვებულებაში და იღებდნენ ხელფასის ოდენობის თანხას, საშვებულებო დახმარების სახელით. რა თქმა უნდა, ეს კანონდარღვევაა, რადგან არ შეიძლება დახმარების აღების მიზეზი გახდეს შვებულება.

ლიკა დევდარიანი

ქუთაისელი მთასვლელების ფოტოგამოფენა ფერეიდნელ ქართველებს მიეძღვნა

მოგზაურთა და ექსტრემალისტთა კლუბმა „თეთნულდმა'', ქუთაისში, „თი ბი სი“ ბანკის საგამოფენო დარბაზში ფოტოგამოფენა მოაწყო სახელწოდებით „სხვა საქართველო“.

2017 წელს კლუბ „თეთნულდის" 5 კაციანი ჯგუფი ირანში იმყოფებოდა, სადაც ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს სტუმრობდნენ. მათ ადგილობრივ მთასვლელთა კლუბ „შაჰან კუჰთან“ ერთად, დალაშქრეს მწვერვალი „შაჰ ან კუ“, მწვერვალი „მთაციხე“ და მოინახულეს მარაბჯანის უდაბნო. გამოფენაზე სწორედ ამ მოგზაურობის ამსახველი ფოტომასალა იყო წარმოდგენილი.
მოგზაურობისას მიღებული ემოციებისა და შთაბეჭდილებების შესახებ გვესაუბრა აჩიკო გეგენავა, კლუბ „თეთნულდის“ წევრი, ფოტოგრაფი:
„ეს გამოფენა ეძღვნება ფერეიდანში ქართველების გადასახლების 400 წლის თავს. საკმაოდ მნიშვნელოვანი ფოტომასალა ჩამოვიტანეთ და ექსპედიციაც საინტერესო გამოდგა. პირველი ქართველები ვიყავით, ვინც ამ მწვერვალზე დადგა ფეხი“.
შეგახსენებთ, კლუბი „თეთნულდი“ წარმოადგენს არასამეწარმეო-არაკომერციულ იურდიულ პირს, რომლის მიზანია საქართველოში მთასვლელობის, სპალეო ტურიზმის და სამთო სპორტის პოპულარიზაცია-განვითარება. ასევე - დაინტერესებული ახალგაზრდების შეკრება, მათთვის თეორიული და პრაქტკული გამოცდილების გაზიარება, მთაში გადაადგილებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში.

„ზღვა მეგობრობის სიმბოლო“- ირანელი და ქართველი ფოტოგრაფების ერთობლივი გამოფენა ქუთაისში

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ირანული ფოტოგრაფიის და ფილმების კვირეულის ფარგლებში, ირანელიფოტოხელოვანების გამოფენა „ზღვა-მეგობრობის სიმბოლო“ და ირანული ფილმების ჩვენება მოეწყო.

„გამოფენის ძირითადი თემატიკა არის ზღვა. რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ ერს შორის. გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოებით ჩანს,რომ ორივე ერის ფოტოგრაფების დამოკიდებულება ჰუმანიზმს, მშვიდობისა და მეგობრობის მიმართ არის ერთნაირი.“- განაცხადა ირმა პეტრიაშვილმა ქუთაისის საკრებულოს კულტურის, განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თავმჯდომარემ.
ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება, ქალაქრაშთის მერი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობისსაქმეთა და სპორტის კომისია.

ლიკა დევდარიანი

რამდენი მილიონი და რა ქონება მიიღო ქუთაის-გაენათის ეპარქიამ ქუთაისის ბიუჯეტიდან?

პირველი გვერდიდან

ერთადერთი ზოგადი ინფორმაცია თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით, ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა, ირაკლი ავალიანმა მოგვაწოდა, რომელმაც გვითხრა, რომ ქუთაისის ბიუჯეტიდან ეპარქიაში ყოველწლიურად გადარიცხული თანხების მიზნობრიობა არის ტაძრების განათებების მოწესრიგება და ეკლესიების მშენებლობა.

მისივე განმარტებით, მაგალითად, 2016 წელს გამოყოფილი 72 000 ლარიდან დაფინანსდა გელათისა და ბაგრატის ტაძრების განათებები და რამდენიმე ეკლესიის მშენებლობა. ასევე ირაკლი ავალიანის თქმით: „ეპარქია არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მათი ხარჯების ინსპექტირება ჩვენ მიერ არ ხდება, ჩვენ ვრიცხავთ თანხას კონკრეტული შემსრულებლის სახელზე და შემდეგ ისინი ფაქტურებს აგზავნიან ხაზინის ერთიან ეროვნულ სისტემაში.“

თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიღება-ჩაბარების აქტებს და მათ გადაგზავნას ხაზინაში, აქვს ფორმალური ხასიათი და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე რეალურად ამოწმებს, შესრულდა თუ არა კონკრეტული სამუშაოები და გაიხარჯა თუ არა თანხები მიზნობრივად.

ჩვენ ასევე შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რა ტერიტორიები თუ მიწის ნაკვეთები გადასცა მერიამ ეპარქიას და მათი რაოდენობა ყოველ წელს იზრდება თუ - პირიქით.

ქუთაისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2002 წელს გადაცემულია 2 მიწის ნაკვეთი, 2003-2006 წლებში - 4 მიწის ნაკვეთი, 2007 წელს- 2 მიწის ნაკვეთი, 2008 წელს- 2 შენობა ნაგებობა, 1 მიწის ნაკვეთი და 2 სკვერი, 2009 წელს - 1 მიწის ნაკვეთი და 1 სკვერი, 2010 წელს - 6 სკვერი, 3 მიწის ნაკვეთი, 2012 წელს- 3 მიწის ნაკვეთი და 2 შენობა -ნაგებობა, 2013 წელს- 2 სკვერი და 4 მიწის ნაკვეთი და 3 მწვანე ზოლი, 2014 წელს- 2 სკვერი და 2 მწვანე ზოლი.

მიწის ნაკვეთი და სკვერი განკუთვნილია ეკლესიის მშენებლობისთვის, ხოლო შენობა ნაგებობა საბავშვო ბაღის ან საეკლესიო ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის.როგორც მერიაში განგვიცხადეს, აღნიშნული ტერიტორიები ეპარქიას მიმართვისა და თხოვნის საფუძველზე გადაეცა.

ამ სტატიაზე მუშაობისას ჩვენ დავინტერესდით, ქუთაისში არსებულ სხვა კონფესიებსაც თუ მიუღიათ რაიმე თანხა ან ქონება ქალაქის ბიუჯეტიდან, რაზეც ასეთი პასუხი მივიღეთ: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ მომხდარა უძრავი ქონების გადაცემა სხვა კონფესიებისათვის და არც რომელიმე კონფესიის დაფინანსება მომხდარა ქუთაისის ბიუჯეტიდან.“

და, კიდევ ერთი ფაქტი, რომლის აღნიშვნაც საჭიროდ მივიჩნიეთ ამ წერილში: ჟურნალისტი დალი ბარაბაძე, რომელიც საპატრიარქოს რადიოში მუშაობდა, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს, მეუფე კალისტრატეს დღემდე ადანაშაულებს თანხის, 8 000 ლარის მითვისებაში. მისივე თქმით, მერიამ ეს თანხა გამოყო ეპარქიის რადიოსთვის და იმ გადაცემისთვის, რომელსაც დალი ბარაბაძე ამზადებდა, თუმცა თანხა არ მოხმარდა არცერთ გადაცემას. ამ საკითხზე ჟურნალისტის სარჩელი პირველ ინსტანციაში განიხილა მოსამართლე ციცინო კიკვაძემ, რომელმაც მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა ჟურნალისტი მეუფის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტას არ აპირებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დალი ბარაბაძე მეუფე კალისტრატეს სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებაშიც ედავება. მისი თქმით, როცა მან ზემოთაღნიშნული თანხის მეუფისგან მითვისების საკითხზე ხმამაღალი განცხადებები გააკეთა, კალისტრატემ ის სამსახურიდანაც კი გაათავისუფლა. აღნიშნულ საკითხზე სასამართლო დავა ამჟამად პირველ ინსტანციაში მიმდინარეობს. საქმეს განიხილავს მოსამართლე მანანა ნიკაჭაძე.

ეს ყველაფერი, რასაც ამ წერილში შევეხეთ და ეკლესიის სფეროში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საჭირო და აუცილებელიც კია, რომ კონტროლდებოდეს ბიუჯეტიდან ეკლესიაში გადარიცხული თანხები და საზოგადოებამ იცოდეს, რა კეთდება და სად იხარჯება ფული.

ჩვენ კი ამ საკითხებზე გამოძიებას კვლავ გავაგრძელებთ.

ნატო გუბელაძე
მეგი კაკაბაძე

განათლების სამინისტრომ პედაგოგთა თავისუფალ პროფკავშირებთან დარგობრივი შეთანხმება გააფორმა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომელმაც თავისუფალ პროფკავშირებთან დარგობრივი შეთანხმება გააფორმა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა ხელშეწყობასა და მათ მხარდაჭერაზე ორიენტირებულ დარგობრივ შეთანხმებას, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირსა (სპმთპ) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, 16 მარტს მოეწერა ხელი.

დარგობრივი შეთანხმების ძირითადი პრინციპებია: კანონმდებლობის დაცვა; საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ–ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული ინტერესებისა და უფლებების დაცვა; მხარეთა თანასწორუფლებიანობა; ვალდებულების აღების ნებაყოფლობითობა; ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და პასუხისმგებლობა; ხარისხიანი განათლების მიღების ხელშეწყობა.

შეთანხმების გაფორმებისას

შეთანხმებაში ასახულია ყველა ის მიმართულება, რაც სრულყოფაში მოიყვანს სამინისტროსა და პროფკავშირს შორის თანამშრომლობას და სოციალურ დიალოგს, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად ხორციელდება.

სპმთპ არის მსოფლიოს განათლების სისტემაში დასაქმებულთა საერთაშორისო ორგანიზაცია ,,განათლების ინტერნაციონალის (EI)“, ,,ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUCE)” წევრი ორგანიზაცია და მისი პრეზიდენტი წარმოადგენს ,,ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUCE)” არჩეულ წევრს. დღეისათვის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში გაერთიანებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების 40 000–ზე მეტი დასაქმებული, რაც ერთ-ერთი საფუძველია დარგობრივი შეთანხმების გაფორმებისათვის.

ამ შეთანხმების გაფორმებას ეხმაურება თავად სპმთპ-ს ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია კობახიძე, რომელიც მადლობას უხდის განათლების მინისტრს ამ დემოკრატიული ნაბიჯ ისათვის:

დარგობრივი შეთანხმება არის მყარი გარანტია პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვის.

სოციალურ პარტნიორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი დოკუმენტის გაფორმების შესახებ, საქართველოს ვიცე–პრემიერის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილება ნათელი დადასტურებაა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და დემოკრატიული მართვის პრინციპების დამკვიდრების.

დარგობრივი შეთანხმება უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს შორის სოციალური დიალოგისა და დიალოგის ფორმატში კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუციონალიზაცია, რაც საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა უფლებების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

სპმთპ, პედაგოგთა სახელით მადლობას უხდის განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, პედაგოგთა ინტერესების დაცვის მიზნით მიმდინარე თანამშრომლობისა და პედაგოგთა მხარდაჭერისათვის.

2017 წლის ახალგაზრდა გლობალურ ლიდერად მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა საქართველოდან ნინო ზამბახიძე შეარჩია

ჟენევა, შვეიცარია, 16 მარტი 2017 - ასი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვარი, ბიზნესის ლიდერი, სოციალური მეწარმე, ტექ-პიონერი, მოაზროვნე და პოლიტიკის შემქმნელი - ყველა 40 წელს ქვემოთ - უკვე აღიარებულნი არიან 2017 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ, როგორც წლევანდელი ახალგაზრდა გლობალური ლიდერები (YGL).

YGL-ის 2017 წლის კლასის 54: ქალია და უმრავლესობა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან არის შერჩეული. ისინი წარმოადგენენ მათი თაობის საუკეთესო პროფესიონალებს.

საქართველოდან, 2017 წლის კლასის ახალგაზრდა გლობალური ლიდერად (YGL) საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავჯდომარე, ნინო ზამბახიძე შეირჩა.

ნინო ზამბახიძის გამარჯვება ასახავს მის ისტორიას პროფესიული მიღწევების კუთხით, მის ერთგულებას საზოგადოების მიმართ და პოტენციალს, ხელი შეუწყოს მომავალი მსოფლიოს ჩამოყალიბებას მისი მონაწილეობით. ეს არჩევანი გულისხმობს 5 წლის მანძილზე Young Global Leader-ის ფორუმის აქტიურ წევრობას.

YGL-ის მიმდინარე წევრები და კურსდამთავრებულები არიან მთავრობების წევრები, ნობელის პრემიისა და ოსკარის ნომინაციის ლაურეანტები, გაეროს კეთილი ნების ელჩები და სოციალური მეწარმეები. YGL-ის კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ ერთმანეთთან მუშაობა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, რათა მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს უმძიმესი პრობლემებისა და გამოწვევების გადაწყვეტაში.

"ახალგაზრდა მსოფლიო ლიდერები ერთად წარმოადგენენ მათი თაობის საუკეთესო მაგალითს და ხელს უწყობენ მდგრადი სოციალური ინოვაციების ახალი მოდელის შექმნას." - განაცხადა ჯონ დუტონმა.

ფორუმი Young Global Leaders არის უნიკალური საზოგადოება, რომელშიც 900-ზე მეტი განსაკუთრებული უნარების ახალგაზრდა ლიდერები არიან გაწევრიანებულნი. თამამი, გამბედავი და ქმედებაზე ორიენტირებული ადამინები იღებენ ვალდებულებას, დათმონ როგორც მათი დრო, ასევე ნიჭი, რათა მსოფლიო გახადონ უკეთესი. ყოველ წელს, ფორუმის წევრების გადაწყვეტილებით, დაახლოებით 200 გამორჩეულ ახალგაზრდა ლიდერს აქვს პატივი მათი პროფესიული მიღწევების გათვალისწინებით, ხელი შეუწყონ მსოფლიოს მომავლის ჩამოყალიბებას.

ნინო ზამბახიძე

საქართველოს რეგიონული მედია სოფლის განვითარებისთვის

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციამ (GRMA), რომელიც საქართველოს ცხრა რეგიონში არსებულ 22 გამოცემას და 19 საინფორმაციო ვებ პორტალს აერთიანებს, საკუთარი გამოცემები თბილისში, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პატრონაჟით გამართულ გამოფენაზე წარადგინა.

17 მარტს სასტუმრო „ჰუალინგ თბილისში“ მასშტაბური კონფერენცია და გამოფენა გაიხსნა, რომელსაც საქართველოს რეგიონებიდან 500-მდე დელეგატი დაესწრო.

ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მათ მოიწვიეს ის ადამიანები, ვინც უკვე შეცვალა ან აპირებს, რომ შეცვალოს რეგიონებში მცხოვრებთა ყოფა უკეთესობისკენ.

ღონისძიების ფასილიტატორი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული მერსი ქორფს-საქართველოს „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა“ 2008 წლიდან ხელს უწყობს ბაზრის თანასწორ განვითარებას და სოფლად მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების საარსებო წყაროს გაუმჯობესებას. მათთვის თანასწორი შესაძლებლობების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის გაზრდით.

სოფლად და რეგიონებში არსებული საწარმოების სულისჩამდგმელებმა საზოგადოებას საკუთარი პროდუქცია, მოსაზრებები, მოტივაციის წყაროები გაუზიარეს, იმ კონკრეტულ მაგალითებსა და მიღწევებს გაუსვეს ხაზი, რაც სოფლად მცხოვრებთა ყოფას აუმჯობესებს და წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში.

ღონისძიებას დაესწრნენ საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები სპორტის, კულტურისა და ბიზნესის სფეროებიდან.

ფოიეში მოწყობილ საგამოფენო სივრცეში განთავსებული იყო კერძო და მუნიციპალური ინიციატივები, მრავალფეროვანი ხელნაკეთი სუვენირები, ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები და საგნები, რეგიონებში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების, ფერმერული მეურნეობების მიერ წარმოებული რძის და თაფლის პროდუქტები, ქართული მატყლი, რეგიონული მედია – გაზეთები და ტელევიზიები, უმსხვილესი ქართული ვეტერინარული საწარმოს პროდუქცია, ბიზნეს საკონსულტაციო ფირმები და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ასოციაციები.

საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იყო ფოტოკონკურსის „ცხოვრება სოფლად“ ფინალისტთა ფოტოებიც.

კონფერენციაზე 8 მთავარ მომხსენებელთა შორის იყვნენ ჰელენ ბრედბერი - განვითარების პროფესიონლი, თამარ ჩუგოშვილი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი კეკელიძე - მწერალი, გიორგი ბაქრაძე - ეკონომისტი და სხვები.

როგორც მერსი ქორფსი-საქართველოს „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ მედია მენეჯერმა ნონა სამხარაძემ განაცხადა, **ღონისძიებაზე მოწვეულმა საჯარო პირებმა და თანამოაზრე ადამიანებმა სახელისუფლებო და სამოქალაქო სექტორებიდან, დიდი ქალაქებისა და პატარა სოფლების წარმომადგენლებმა, რომელთათვის მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების კეთილდღეობა, ისაუბრეს იმაზე, თუ რატომაა მნიშვნელოვანი თანასწორობა ჩვენი ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის.**

კონფერენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ფოიეში წარმოდგენილი პროდუქციის გამოფენა, რომელთა შორის იყო საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, მაია მამულაშვილის განცხადებით, ასეთ გამოფენაზე რეგიონული გაზეთების ექსპოზიციის წარმოდგენა იყო პირველი მცდელობა, რომელიც აძლიერებს ასოციაციის როლს უშუალოდ სოფლისა და ქალაქების მცხოვრებთა ინფორმირების მიმართულებით.

„ასოციაციის თითოეულ წევრ გამოცემას, რომელიც უტყუარ და ეთიკური სტანდარტებით მომზადებულ პროდუქციას აწვდის ადგილობრივ მოსახლეობას, დიდი წვლილი შეაქვს სოფლისა თუ თემის განვითარებაში.“

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.alcp.ge და SDC-ის ოფიციალურ ვებგვერდს www.eeg.ge

განცხადებები

2017 წლის 17 მაისს, 14 საათზე ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის N3), რიონის ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლასთან დაკავშირებით, გაიმართება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

▶ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი.
ქ. თბილისი, გულუას ქ. N6;
ტელ.: +995 (032) 272 72 60;

▶ სს „ენერგო- პრო ჯორჯია გენერაცია“.
ქ. თბილისი, სანდრო ეულის N19.
ტელ.: +995 577 35 10 55;

„რიონის ჰიდროელექტროსადგურის“ ადმინისტრაციული შენობა.
ქ. ქუთაისი.
ტელ.: +995 577 35 07 60;

▶ ქალაქი ქუთაისი. რუსთაველის N3.

2017 წლის 5 მაისს, 15 საათზე ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის N3), გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ფუნქციონირების საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლასთან დაკავშირებით, გაიმართება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

▶ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. N6; ტელ.: +995 (032) 272-72-60;

▶ სს „ენერგო- პრო ჯორჯია გენერაცია “

ქ. თბილისი, სანდრო ეულის N19.

ტელ.: +995 577 35 10 55;

„გუმათჰესის კასკადის“ ადმინისტრაციული შენობა.

ქ. ქუთაისი, გუმათჰესი,

ტელ.: +995 577 35 07 38;

▶ ქ. ქუთაისის მერია.
რუსთაველის N 3.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**